№ 22 იანვარი 29, სამშაბათი 1891 იანვარი 29, სამშაბათი № 22

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათ-ვად-აზნაური ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრ. გი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ა. ი. ფიურერის ცირკი

დღეს, სამშაბათს, გაიმართება მეტად საუცხოვო წარმოდგენა, რომელშიაც ყველა საუკეთესო არტისტები მიიღებენ მონაწილეობას. დასასრულ წარმოდგენილ იქნება მეტად სასაცილო პანტომიმა «დონ-პერლონი».

ყოველ დღე გვმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი—8 საათზედ.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 29 იანვარს,

ბენეფისი

ბ-ნ კანდელაკისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

### მტარვალი

ისტ. ტრაგედია 5 მოქ.

თხზულება გ. ლაზარიშვილისა.

მოთამაშენი: ქ-ნი ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა; ბ-ნი გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, საფაროვი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ბ-ნნი წევრნი საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა მიწვეულნი არიან ამ საზოგადოების მორიგს კრებაზედ, რომელიც მოხდება სამშაბათს, 29 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები.

2) მოხსენება ნამდვილის წევრის ე. ა. სტაროსელსკისა: „ფილოქსერა ქუთაისის გუბერნიაში და ღონისძიებანი მასთან ბრძოლისა".

ამ კრებაზედ დასწრების ნება არა-წევრთაცა აქვთ.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, ამ თვის 26, ნაშუადღევის პირველ საათზე, ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის მეექვსე კლასის შეგირდმა ფილიპე ტერ-ასტვაცატურიანმა ორჯელ დაიცა რევოლვერი საფეთქელსა და გვერდში. აი მიზეზი თავის მოკვლისა რა ყოფილა: ფილიპე ტერ-ასტვაცატურიანს მეექვსე კლასამდე კარგად უსწავლია, მაგრამ ამ კლასში, რაკი თვრამეტი წლისა შექმნილა, აჰყოლია სხვა-და-სხვა ცუდის ყოფა-ქცევის ამხანაგებს, რომელნიც სასწავლებლიდგან გამორიცხულნი ყოფილან და რომლებთანაც ტერ-ასტვაცატურიანი ატარებდა თურმე მთელს ღამეებს. სწავლა ვეღარ შესძლო და მეექვსე კლასში დარჩენილა ორ წელიწადს. პირველად იგი კარგად სწავლობდა, მაგრამ თავის ამხანაგებმა კიდევ აიყოლიეს, სწავლას თავი დაანება და ხან და ხან პოლიცია განთიადს მთვრალს მიუყვანდა თურმე დედას სახლში. თითონ ტერ-ასტვაცატურიანს მოსდიოდა თურმე ჯავრი რომ კარგად ვეღარა სწავლობდა, მაგრამ ქეიფს მაინც თავს ვერ ანებებდა. დეკემბრიდგან საბრალოს განუზრახავს თავის მოკვლა და ეს განზრახვა არა ერთხელ გაუზიარებია კიდეც თავის დედისა და ძმებისთვის. დედას კიდეც ეკითხნა ერთხელ, შვილო ხომ არავინ არ შეიყვარე და თუ ვინმე შეიყვარე, შეირთე ცოლად, მე დამშლელი არა ვარო, მაგრამ ტერ-ას—რიანს უპასუხნია, რომ სიცოცხლე მომბეზრდაო. შაბათს დილით, როგორცა სჩანს პოლიციის ოქმიდგან, ფილიპეს ერთი მანეთი უთხოვნია დედისთვის, მაგრამ იმას არ მიუცია ფული და უთქვამს: შვილო, სასწავლებელში წადიო. ტერ-ას—რიანი სახლიდგან გამოსულა და სად წასულა, არავინ იცის. შინ მხოლოდ პირველ საათზე მოსულა, უ' ა-უზმნია, შემდეგ ამოუღია ჯიბიდგან რევოლვერი, უჩვენებია დედისთვის და უთქვამს: აი ჩემი ბოლოო. შემდეგ შესულა თავის ოთახში და დაუწერია ბარათი „დასასრულ მე თითონვე გადავწყვიტე ჩემის თავის დამშვიდება. შემებრალა და შემეცოდა ეს წუთისოფელი. ©ეყოფა, მკმარა ამდენი ტანჯვა 'უბედურს. მშვიდობით ჩემო საყვარელო, ძვირფასო, დედავ, გთხოვ დაივიწყო ის მწუხარება, რომელიც მე მოგაყენე. მომიკითხე ყველა ჩემი ნაცნობი. ფილიპე". ორჯელ უსროლია რევოლვერი. პირველი ტყვია მოჰხვედრია მარჯვენა გვერდში, მეორე-კი—მარცხენა საფეთქელში და გამოვარდნილა მარცხენა თვალში. დაჭრილი ტერ-ასტვაცატურიანი საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ იმის მორჩენის იმედი-კი არა აქვთ.

*** პავლე კარლის ძე ვილიამსი, რომელმაც წარსულ პარასკევს რევოლვერი დაიკრა გვერდში, კვირას, ამ თვის 27, გარდაიცვალა ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში.

*** იბეჭდება და მალე ცალკე წიგნად გამოვა „ქართველი ქალები", ისტორიული მიმოხილვა დ. ბაქრაძისა. ეს წერილი 1860 წლის „ცისკარ"-ში იყო დაბეჭდილი პირველად.

*** ტფილისის ფოსტა დეპეშის ოლქის უფროსი გვაუწყებს, რომ ეხლანდელის წესით ტფილისიდგან სიღნაღში ფოსტა იგზავნება სამშაბათობითა და შაბათობით დილით, ხოლო სიღნაღიდგან ტფილისში მოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. რომ ეს საქმე განმეკარგებინა როგორმე და უფრო ხშირად ყოფილიყო შესაძლებელი გზავნა როგორც უბრალო წერილებისა, აგრეთვე გაზეთებისაც სიღნაღში, მე მოვილაპარაკე კერძო ეტლების პატრონ წყალობ ოჰანეზოვთან და დავითანხმე, რომ მუქთად ატაროს ხოლმე აქედგან გასაგზავნი წერილები და გაზეთები ორ დღეში ერთხელ და ამ გვარადაც ივლის ეს ქაღალდები, მომავალ თებერვლის პირველ რიცხვიდგან. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო ამბავია, რადგან კახელები მართლაც-და ისე შეწუხებულნი არიან ფოსტის გვიანობითა, რომ მარტო ამ მიზეზის გამო ბევრი გაზეთის კითხვის სიამოვნებასაც-კი იკლებს; ვიმეორებთ, ფრიად სასიხარულოა, მაგრამ მუქთად გაკეთებული საქმე დაუდევრაგობას აცილებული იქნება, თუ არა, ამისი-კი რა მოგახსენოთ.

*** სიამოვნებითვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე უკანასკნელი განკარგულება ტფილისის პოლიცმეისტერის ბ-ნ მასტიცკისა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, შარშან ცირკში წარმოადგინეს ვითომ-და ისტორიული პანტომიმა „თამარი", რომელშიაც დიდად დამცირებულია და შეურაცხებული ეს დიდებული მეფე ქართველთა. ჩვენ მაშინვე უსიამოვნოდ მივიჩნიეთ ეს გარემოება და გვეოცა, რომ საქართველოში, ქართველთა შორისვე, ასე უბოდიშოდ მოეპყრნენ მათს სადიდებელსა და სათაყვანებელს. ამას წინად ფიურერის ცირკმა გამოაცხადა, რომ ვამზადებთ იმავე პანტომიმას „თამარს" და ამ დღეებში კვლავ წარმოდგენილ იქმნებაო. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ბ-ნმა მასტიცკიმ, მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ ეგ პანტომიმა სამუდამოდ აღკრძალულ იქმნას და ნურასოდეს ნუღარ იქნება წარმოდგენილიო.

*** გუშინ მეოთხედ წარმოადგინა ფორკატის დასმა არაკი—ფეერია „ივან ცარევიჩი." ეს ფეერია დიდის მომზადებით არის გამართული, შიგა და შიგ მართლა რომ საუცხოვო და თვალისათვის ფრიად სასიამოვნო სურათებია; ეტყობა ბ-ნს ფორკატის არც მხნეობა და არც საშუალება არ დაუშურნია, რომ როგორმე მდიდრად და ლამაზად მოეწყო ფეერია. სამწუხაროდ, მგალობლები და მოცეკვავე ქალები ცოტა ჰკოჭლობენ და ამას გარდა გველ-ვეშაპი ისეა ნათლად თოკებზედ ჩამოკანტურებული, რომ, იმას გარდა, თვით თოკებსაც კარგადა ჰხედავს მაყურებელი. ამ ნაკლთა მიუხედავად საზოგადოება იმდენად ხალისიანად ესწრება ამ წარმოდგენებს, რომ გუშინ-წინ, მაგალითებრ, კვირას, 27 იანვარს, ხალხით იყო გაჭედილი თეატრი და არც ერთი ბილეთი აღარ იპოვებოდა კასსაში. შემდეგი წარმოდგენა, ამავე ფერიისა, როგორც შევიტყვეთ, ხვალ ოთხშაბათს იქნება.

*** ოზურგეთი: ამ თვის 26-ს, ოზურგეთის მომრიგებელ სასამართლოში გაირჩა სადგურ ნატანების მეისრეს ბასილაშვილის საქმე, რომელსაც ქურდობა ჰბრალდებოდა ბ-ნ გერლიანის სახლიდგან სხვა-და-სხვა ნივთებისა. მომრიგებელმა მოსამარ-

## ფელეტონი

### ფშაველნი და ფშავლები

(ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

ცოლ-ქმრობა და კაც-დედაკაცის ურთიერთობა ოჯახში.

წინად შემთხვევა მქონდა ჩემს წერილში შეძლებისადა გვარად მეჩვენებინა მკითხველისათვის, რაში მდგომარეობს ფშაველის დედაკაცის დამცირება სარწმუნოების მხრით, რითი სდგას ის მამაკაცზედ დაბლა თემისა და თემის სალოცავის წინაშე, ხოლო იმ საგანს-კი არ შევხებივარ, რა მდგომარეობაშია ფშაველის მანდილოსანი კერძოდ ოჯახში და ან რა თვალით უყურებს მას მამა-კაცი და ამის გამო ვეცდები შეძლების დაგვარად გავაცნო მკითხველს. ფშაველის ოჯახისა და საოჯახო ჩვეულებათა ამწერისათვის თავ-და-პირველი გამოსარკვევი საგანი კაც-დედაკაცის ურთიერთობაა, რადგანაც ფშაველის შინაური ცხოვრება და მისი ოჯახი ამ ურთიერთობაზეა დამყარებული. მანდილოსნის მორჩილება მამაკაცის წინაშე და დამცირება ფშაველის ოჯახს აშკარად ატყვია. რა თქმა უნდა, რომ ეს ასეა, არამც თუ ისეთს ნაკლებად განვითარებულს ხალხში, როგორნიც ფშავლები არიან, თვით დაწინაურებულ ქვეყნებშიაც-კი მანდილოსანი ხშირად დამცირებულია და მრავალს ადამიანურს უფლებას მოკლებული საზოგადოებაშიაც და კერძო ოჯახშიაც. თუმცა ამ საზოგადო ხვედრს მანდილოსნისას ვერც ფშაველის მანდილოსანი ასცდენია, მაგრამ ფშაველის ოჯახში და საოჯახო წეს-წყობილებაში დედაკაცს მაინც კვალი ღრმად აღუბეჭდია და საკმარისი მნიშვნელობა მოუპოვებია, შექმნილა ოჯახის ბურჯად და მამაკაცის „ამხანაგად" *) შინაურს ცხოვრებაში. მართალია, როგორც „უპირს" მანდილოსანი ფშაველის მამაკაცსა და მის ოჯახს, ისე არ „ულირს", ანუ, უკეთ ვსთქვათ, არ აფასებს, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ფშაველის აწინდელსა და წარსულს ყოფა ცხოვრებას და შევადარებთ ერთმანეთს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ფშაველის მანდილოსნის მჩაგვრელი ხალხის ჩვეულებანი, რაც დრო გადის, იმდენად მეტად იცვლება მანდილოსნის სასარგებლოდ და ამ მხრივ ნაბიჯი თუ წინ არ არის გადადგმული, გადასადგმელად არის გადაღირებული.

ვინც ფშაურის ოჯახისა და საოჯახო ჩვეულებათა აწერას მოისურვებს, იმან „ოჯახის პატრონი" და თემის წევრი „ქუდოსანი" უკან უნდა ჩამოაყენოს, ოჯახის მომართულობასა და შინაურს ცხოვრებაში პირველი ადგილი დამცირებულს მანდილოსანს უნდა დაუთმოს, იმიტომ-რომ მამაკაცის მიერ ოჯახის პატრონობა უფრო გარეგნულია, იმას აბარია უფრო მძიმე საგარეო საქმე და ამის გამო მომეტებულად არც-კი „მიუწვდება ხელი" „შინაობამდე". თვით ოჯახის „შინა" ხშირად მთლად მარტო მანდილოსანზეა დამყარებული და ის ოჯახის საშინაო საქმეს მარტოკა უმამაკაცოდ განაგებს. ყველა ამას მამაკაცი თავისებურად აფასებს, დედაკაცს პატივსა სცემს, „სახლის გვირგვინად" და თავის თანაშემწედ მიაჩნია. იმის აზრით, უდედაკაცო სახლი უანგელოზოა, უდედაკაცო სახლს თავს ანებებს, მისის აზრით, ღვთისაგან სახლის მფარველად მოვლენილი ანგელოზიც კი და სახლი ამ შემთხვევაში ყოვლად უბადრუკი და დამცირებული რჩება. სადაც-კი კარგი ოჯახი იხსენება ფშავლებში, იქვე იხსენება ოჯახის საუკეთესო დედაკაციც, რომლის ნებასა და რჩევასაც ხშირად მამაკაციც ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ „კაცს კაცობა უნდა შაჰგალობდეს" და დედაკაცი მისი ხელქვეითი და მისის ნების აღმსრულებელი უნდა იყოს. დედაკაცი, ფშაველის აზრით, წყნარის ხასიათისა უნდა იყოს, ყველას პატივსა სცემდეს, შინაურსა და გარეულსა, სტუმრის მოყვარე იყოს და ამითი მასახელებელი თავის თავისა და თავისის ოჯახისა. დედაკაცი თემში ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, არავის ნება არა აქვს სცემოს, ან სიტყვიერად შეურაცხჰყოს მანდილოსანი, გარდა თავის ქმარისა, რომელიც ამ შემთხვევაში არავისგან არ ისჯება. გარეშე კაცისაგან მანდილოსნის ცემა დიდი შეურაცხებაა და თვით მცემელისათვისაც დამცირება. ვაჟკაცმა დიაცს ხელი არ უნდა შეახოს. მანდილოსნის ცემისთვის ხალხის ჩვეულებრივი სამართალი დამნაშავესა სჯიდა, ახდევინებდა ამისთვის დაწესებულს ჯარიმას. ქალი წინად უფრო დამცირებული და დაჩაგრული ყოფილა. გათხოვების დროს გათხოვებაში არავითარი ხმა არა ჰქონდა თურმე, მშობლები მის სურვილს არას დროს არ ეკითხებოდნენ. დიდი სირცხვილი იყოო, ამბობენ ფშაველის მოხუცებული დედაკაცები: „თუ ქალი ისე „უკურ-

*) ფშაველი ცოლს სახელს არ დაუძახებს. ცოლის „სახელის თქმა" სირცხვილია და ამისთვის ხშირად სახელის მაგიერ ცოლს უძახის „ამხანაგს" (ამხანაგი).

თლემ სამის თითით ციხე გადაუწყვიტა. ნაშუადღევის სამ საათზე იმავე დღეს ბასილაშვილი ქუჩაში შეხვდა გერლიანის მოწამეს, ტელეგრაფისტს მასხულიას, ჯოხით ორ-ალაგას თავი გაუტეხა და მესამედ საფეთქელში დაჰკრა. დაჭრილი მასხულია ტფილისში გამოჰგზავნეს. ბასილაშვილი-კი გაიქცა და ჯერ პოლიციას არ შეუპყრია.

*** ვარშავა: ეხლა აქ ხუთი ქართველი სტუდენტია: ერთი სამკურნალო ფაკულტეტზე, ორი—იურიდიულზე და ორიც—საზეითალო ინსტიტუტში. წარსულ წელს ვარშავის უნივერსიტეტში ორმა ქართველმა დაამთავრა სწავლა: სამკურნალო ფაკულტეტზე—პეტრე ალექსის ძემ ჯიჯიხიამ, რომელიც დროებით აქვე დარჩა კლინიკებში თავის საგნის უკეთესად შესასწავლად, და იურიდიულზე—გიორგი კოსტანტინეს ძემ ხაბურზანიამ. მით უფრო სიამოვნებით აღვნიშნამთ ამ გარემოებას, რომ ეს პირველი მაგალითია ვარშავის უნივერსიტეტში ქართველთაგან სწავლის დამთავრებისა უმაღლესს სასწავლებელში.

*** ჩვენი ბაზრები, როგორც ყველას მოეხსენება, საშინელს მდგომარეობაშია. ამას წინად, გაზ. „Кав.“-ის სიტყვით, რამდენმამე საქონლის ტფილისის ბაზარში მომრეკმა მიჰმართა ქალაქის თავს და სთხოვა, რომ დაგვიხსენით როგორმე დალალებისაგან, რომელნიც მომხმარებლებსა და მწარმოებელს შუაში უდგებიან და ათასს ხრიკებსა ჰხმარობენ ჩვენდა და იმათ მოსატყუებლადაო. ხშირად ხერხით რომ ვერას სჩადიან, ძალასაცა ჰხმარობენ და იმათის სურვილის ურჩის ცემატყეპასაც არ ერიდებიანო. მაშინვე შედგენილ იქმნა სია დალალებისა, რომელთა რიცხვი 50-მდე აღმოჩნდა; ეს სია ქალაქის გამგეობამ პოლიცმეისტერს გაუგზავნა და სთხოვა განკარგულება მოახდინეთ, რომ არც ერთი ამ დალალთაგანი ბაზარში აღარ შეუშვანო. მეორე დღესვე გაჰფანტეს და განაძევეს ეს დალალები, მაგრამ ამათ ახლა სხვა ადგილი იპოვნეს თავის სამოქმედოდ: შადიან ბაკებში და ახლა იქ დაიწყეს შუამავლობა ვაჭრობაში. ამას გარდა მიდიან ქალაქ გარედ და გზაზედვე იჭერენ ქალაქის განაპირას, ბაზრებამდე საქონლის მოყვანის ნებას არ აძლევენ და კიდეც ამიტომ საქონლის შემოყვანამ ძალიან იკლო ამ ბოლო დროს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი კვლავ აცნობა პოლიცმეისტერს და იმანაც ხელ წერილი ჩამოართვა ბაკების პატრონებს, რომ დალალები არ შეუშვათ ბაკებშიო. ვნახოთ, ეხლა რა ხრიკს მოიგონებენ დალალები?

*** იანვრის 27, საღამოს 9 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე პოლიციის მოხელე თედორე ხიმჩენკო კონკით მოდიოდა, გადმოხტომის დროს წინ ეტლი შეეჯახა და დაშავდა. ხიმჩენკო სამკურნალოში გაჰგზავნეს, მეეტლე-კი შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეცხრე ნაწილში მივიდა ტფილისის ვაჭარი სიმონ მატინიანცი და გამოაცხადა, რომ დაუკეტავის სადგურიდგან 100 მანეთის ნივთეულობა მომპარესო. ეჭვი მასთან ნამყოფ მოსამსახურე კოსტაზე გამოაცხადა. იმისი გვარი აღარ მახსოვსო, სთქვა მატინიანცმა, მხოლოდ ვიცი-კი სადაცა სცხოვრობსო.

*** 27 ამ თვისას, პოლიციის მეცხრე ნაწილში, გრიგოლ მარტიევის დუქანში შევიდა სამი მეეტლე. ერთმა მათგანმა, ივანე რუდნევმა, ორი შაურის არაყი დალია და ფული-კი აღარ მისცა დუქნის პატრონს. ამის გამო ასტუდა ჩხუბი ნოქარს ადამოვსა და მეეტლეს შორის. ერთს მეეტლეს სხვა მეეტლენიც წაექომაგნენ და ადამოვს სისხლის დენამდე სცემეს. ადამოვი სამკურნალოშია გაგზავნილი.

*** ამ თვის 26, მოსკოვის ქუჩას ზემოდგან, ნასედკინების სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ერთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს სოლოლაკის ქუჩაზე ყუდრის მზარეულს ალექსი პრელნიკოვს მოჰპარეს 127 მანეთის ტანისამოსი და ფულად 85 მან. იმასთანავე მცხოვრებმა რიაზანელმა კალატოზმა, ნიკოლოზ კანლისტოვმა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** იანვრის 26, პოლიციის მეექვსე ნაწილში, მოვიდა სიმონ ზაზულოვი და გამოაცხადა, რომ ბოტანიკის ქუჩაზე ჩემს სახლში არ ყოფნის დროს სახლი გამიტეხეს და წაიღეს 85 მან. ფულად და 200 მანეთის ნივთეულობაო.

*** ამ თვის 26, კორონცოვის ქუჩაზე, მეეტლე ნიკანორი დადალოვი სიმთვრალის დროს ეტლს ქვეშ მოჰყვა და მარცხენა ფეხი დაიშავა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბეჩო (სვანეთი): თითქმის 40 წლის კაცი ვარ და ამ ნაირი მშვენიერი ზამთარი, როგორიც წელს არის, არ მახსოვს ყოფილიყოს ჩემს სამშობლო სვანეთში. თოვლი აქ-იქ არის წელს, მაშინ-როდესაც ამ დროს წინად ორი ალაბი და ალაბ ნახევარი ყოფილა აქ, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ამ ნაირს ხმელსა და უთოვლო ზამთარს ყოველთვის თან მოსდევს დიდი ავადმყოფობა. მართლაც-და წელს მთელს სვანეთში გახშირებულია ყოველ ნაირი ავადმყოფობა: ცხელება, მუცელა, ფერდა, წითელა, ყვავილი და სხვ. ხალხი იხოცება უმოწყალოდ, განსაკუთრებით ახალ გაზდობა, ყვავილისა და წითელასაგან.

შარშან, ღვთის მადლით, ნამუშევარი გვარიანი მოვიდა საზოგადოდ ყველგან სვანეთში.

შარშან შემოდგომას ერთს ალაპზე, რომელზედაც დაპატიჟებულნი იყვნენ ჭირისუფლისაგან მთელის საზოგადოების მცხოვრებნი 170 კომლამდე, ნასადილევს აღმოჩნდა, რომ თითქმის ნახევარი ხალხი მოწამლულიყო. ვიღაც ბოროტს კაცს სასმელ-საჭმელში გაერია თაგვის წამალი, სულემა და კიდევ რაღაც სხვა საწამლავი. მოწამლულებში სამი კიდეც მოკვდა, ერთს ორსულს დედაკაცს მუცელი წაუხდა. დანარჩენნი გადარჩნენ, როგორც იყო. ბრალდებული ვერ აღმოაჩინეს.

სვანები მდიდარი ხალხი იქნებოდა, რომ მკვდრის წესების შესრულებას ნამეტნავად არ მისდევდნენ. ჯერ ჭირისუფალს ტირილზე დასჭირდება 70—80 მანეთის პური და ამდენისავე არაყი, შემდეგ ალაპზე იმდენივე პური და არაყი და უკანასკნელი 150 მანეთის საკლავი. ფული რომ არა ჰქონდეს სვანს, მამულებს გაჰყიდის და ტირილსა და ალაპზე მოიხმარს ასე ნაშოვნ ფულს, სირცხვილს-კი არა სჭამს. რამდენი ილუპება ამით, ვინ მოსთვლის?

წარსულს შემოდგომაზე ტირილი იყო მიცვალებულისა მულახის საზოგადოებაში. მკვდრის წესის აგებაზე მთავარ-დიაკონიც ეხმარებოდა მღვდლებს. ერთმა დედა ბერმა მთავარ-დიაკვნის გინგილა რომ დაინახა, მოეწონა და, როცა მიცვალებული დაასაფლავეს და მთავარ-დიაკონმა თავისი გინგილა სხვა შესამოსელთან შეინახა, მივიდა ეს დედაბერი და გინგილა მოიპარა. რისთვის მოიპარა? განა მისთვის, რომ რისთვისმე მოეხმარა? არა, მისი ქმარი, აწ უკვე გარდაცვალებული, თურმე სვანური მთავარი პაპა ყოფილიყო და იმ ხანებში ემზადებოდნენ იმის ალაპის გადახდას. ეს დედაბერი ამ პაპის ქვრივი იყო და, როცა ალაპს უხდიდნენ, ეს გინგილაც უკურთხა ალაპზედ თავის ქმარს. აჰა, ჩემო ქმარო, ეს-ღა გაკლდა და ესეც გიშოვე და საიქიოს დაიკიდეო. აქაც მთავარი პაპა იყავი და საიქიოსაც ის იქნებიო. მაგრამ ვაი იმისთანა კურთხევას!.. ხალხმა მაშინვე იცნო ნაქურდალი და სასამართლოში ამოაყოფინეს დედაკაცს თავი. აქამდის მთელს სვანეთში არავითარი სასწავლებელი არ არსებობს და ახლა-კი, ღვთის მადლით და ცოტა ჩვენის მეცადინეობითაც, იმართება სამი სასწავლებელი: ორი მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შემწეობით და მესამე ორკლასიანი სკოლა სახელოსნო განყოფილებით. ჯერ-ჯერობით-კი მათ დაარსებისათვის ხელი არ მიუყვიათ. ყველას წინ გაუსწრო ამ საქმეში სამმა საზოგადოებამ: მულახისამ, იფარისამა და მესტიისამ. რაკი გაიგეს, რომ სკოლები იმართებაო, შეეჯიბრნენ ერთმანეთს ეს სამი საზოგადოება და ხარჯი იტვირთეს სკოლის შესანახავად. მაგალითებრ, მულახის საზოგადოებამ იკისრა სკოლის აშენება თავის ხარჯით, 200 მანეთი შეჰკრიბა წიგნების ფასად, აღუთქვა სკოლას მოსამსახურე და შეშა. ამითი მულახის საზოგადოებამ დაირჩინა ორ-კლასიანი სასწავლებელი. იფარის და მესტიის საზოგადოებამ იდვეს თავს სკოლებისათვის შენობის აშენება, მოსამსახურეებისა და შეშის მიცემა. ამითი ამ უკანასკნელებმა დაირჩინეს ორი სასწავლებელი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა. სხვა სოფლებმა არც სკოლები მოინდომეს და არც ხარჯის გაწევა იტვირთეს ამ საგნისათვის.

ლ. დადეშანი

## უცხოეთი

საფრანგეთი. დიდი ალიაქოთი ასტეხა სარდუს ახალმა პიესამ „ტერმიდორმა“. ეს პიესა ისტორიულია და დიდის რევოლიუციის დროს შეეხება მისი შინაარსი. ავტორს გაკიცხული ჰყავს პიესაში რევოლიუციის მოღვაწენი რობესპიერი და დანტონი და აი სწორედ ამ გარემოებამ აალელვა საზოგადოება პარიჟისა. მართალია ეს პიესა ნება-დართულ იქმნა სახალხო განათლების მინისტრის მიერ, მაგრამ პირველსავე წარმოდგენის შემდეგ მთავრობამ აღკრძალა ადმინისტრატებურის წესით. ახლა ამ ამბავმა ასტეხა დიდი ლაპარაკი: როგორ, ჯერ ნება დართეს პიესის წარმოდგენისა, აუარებელი ხარჯი მისცეს თეატრის პატრონსა და მერე აღკრძალესო! საქმემ იარა და პარლამენტამდე მიაღწია. პარლამენტი გაჭედილი იყო ხალხით იმ დღეს, როდესაც ამ საქმის გარემოებას უნდა დაჰკითხებოდნენ მინისტრს. ჯერ ილაპარაკა ამ საგნის გამო ანრი ფუკიემ და ძალიან უსიცოცხლოდ, გრძლად ილაპარაკა. მის შემდეგ ილაპარაკა რეინახმა. ორივეს აზრი ის იყო, რომ სარდუს პიესა რესპუბლიკანური პიესაა, იმაში დიდის რევოლიუციის კიცხვა არა არის-რა; არის გაკიცხული მხოლოდ რობესპიერის მიერ შემოღებული წესი და რიგი, ტერორი და ყოველივე ეს ხომ მართლაც და ღირსია დიდის გაკიცხვისაო. პატარა არეულობა თუ მოხდა წარმოდგენის დროსა, ეგ არაფერი იყო, რადგან მთავრობას ადვილად შეეძლიან მაგისთანა მანიფესტაციის დათრგუნვაო. მინისტრებმა კონსტანმა და ბურჟუამ ამაზე ის უპასუხეს, რომ თუმცა პიესა რეაქციის მომხრეთა და

---

მოყრუებული“ და მორიდებული არ იქნებოდა მისის გათხოვების თათბირისა და საბედოს ამორჩევის დროს, თითქო საქმე იმას და იმის მომავალ „ბედს“ არ შეეხებაო. ეხლა დრო გამოიცვალა და ქალის გათხოვებაც სულ სხვა ნაირადა ხდება, ხალხი წახდა, ზნეობა დაეცა, ქალი თავის გათხოვებას ხშირად დედ-მამას არც-კი ეკითხება და ქმარს ისე ირჩევს თავის ნებაზეო“, ემდურებიან „ახალ-უხლებს“ ფშაველის „ბებრები“. მართლაც, ჩვენს დროში ფშაველი „ქალის პატრონი“ იშვიათად იკისრებს ქალის „გათხოვებას“ და ვაჟის „დაქორწინებას“, თუ ქალ-ვაჟმა სადმე ხატში სალოცავად ყოფნის დროს ერთმანეთი არ გაიცნეს და ქორწინებაზედ თანხმობა არ გამოუცხადეს მშობლებს.

ფშაველის ქალი 11—12 წლიდგანვე „გვერდში უდგა“ დედასა და შეძლების კვალობაზედ შველის სადედაკაცო და საუმცროსო საქმის კეთებას. მაგალითებრ, მატყლის ჩეჩვას, რთვას, წინდის ქსოვას, კერვასა და შალების ქსოვას. ყველა ეს უნდა შეისწავლოს, ვიდრე გათხოვების ასაკში მოვა, 17—23 წლამდე. ამ ხნისთვის ყოველივე ხელ-საქმე და დედაკაცური ყოფა-ქცევა, რაც ქმარ-შვილიანის მანდილოსანისთვის არის საჭირო, კარგად უნდა იცოდეს. საცოლოს ფშაველი, ჯან-საღობას გარდა, ყოფა-ქცევასა და ხელ-საქმის „ცოდნა-უცოდნელობაზედ“ „იწონ-იწუნებს“, როგორც საცოლო ფასობს ხელითა და ყოფა-ქცევით, ისე საქმრო. ახალგაზდა ფშაველი „ვაჟიც“ ამ ხნისთვის „საგლეხო“ საქმის მცოდნე უნდა იყოს, უნარი უნდა ჰქონდეს ცხოვრების მძიმე ულელის ტარებისა, მაშასადამე „ცოლ-შვილის მოვლა-შენახვისა“ და „სახლის სახლებისა“. ფშაველის ქალი და იმისი დედ-მამა ისეთ ვაჟს ეძებენ, ვისაც შეუძლიან „ასახლოს სახლი“ და მოუაროს ცოლ-შვილს. თუ ვაჟი ამისთვის საჭირო უნარს მოკლებულია, ყველასაგან დაიწუნების და ცოლის შერთვაც გაუძნელდება. ორივე მხარე კარგის არჩევასა სცდილობს, მაგრამ, ფშაველის აზრით, ცდა კარგის ქალისა და ვაჟის არჩევისა თავის ბედის წერას ვერ აასცდენს ვერც ერთს მათგანს. ვერ აასცდენს იმ მიზეზით, რომ ამ საგანზედ „ხორციელნი ქვეყნად ბევრსა ჯბედობენ“ და თვით საქმე-კი ზეცაში დიდის ხნის გარიგებულია. როდესაც დაიბადება ბავშვი, ზეცაში ღმერთი მაშინვე წიგნში ჩასწერავს და იქვე მოიხსენიებს იმასაც, ვისთან უნდა შეუღლდეს, „რა ბედისა“ უნდა იყოს და როგორ გაატაროს სიცოცხლე წუთი-სოფელში. ფშაველის აზრით, ამ ერთხელ დადგენილსა ზეციურ ბედის წიგნში ჩაწერილს განაჩენს ვერ ასცდება კაცი, იგი დაურღვეველია და შეურყეველი.

როცა ქალი 17—20 წლისა გახდება, დედ-მამაც შეუდგება ზრუნვას მისის გათხოვებისას. ამ ხნის შემდეგ დედ-მამა ქალს უფრო მომეტებულს თავისუფლებას აძლევს, საოჯახო საქმით ძალას არ ატანს, რომ ქალმა ამ დროთი ისარგებლოს და გათხოვებისთვის საჭირო „პარგი“ მოიმზადოს. ქალმა გათხოვებამდე მზად უნდა იქონიოს მე—5 შალის ჯუბა, ამდენივე კაბა, პერანგები და სხ., ერთი ან ორი ფარდაგი და ქმრის ნათესავებისთვის საჩუქრად წინდები. ყოველისავე ამისთვის საჭირო მასალას ქალს დედ-მამა აძლევს და ზოგიერთი კიდევ ლოგინსაც უმზადებს: საბნებს, ბალიშებს, ლეიბებს. საბანი და ლეიბი ფშავში ახალი მოდაა და ჯერ-ჯერობით ყველა არც-კი ასრულებს. ქალის „მთხოვარმა“ უნდა მიჰმართოს ქალის დედ-მამას და „სთხოვოს“ ქალი. თვით ქალის მშობლებს-კი არ შეუძლიანთ და ძალიან თავის დამცირებაც არის მათთვის, რომ ვისმე თავისი ქალი „დააძალადონ“, ისინი უნდა ელოდდენ, ვიდრე „ქალის ბედი“ კარზედ მიადგებათ. როცა ქალისა და ვაჟის“ პატრონები ერთმანეთში მოილაპარაკებენ და დაბრკოლებას არა ფერსა ჰპოვებენ, მაშინ საქმე ქალ-ვაჟის თანხმობაზედ მიდგება. თუ ქალ-ვაჟიც დასთანხმდა, საქმე გაჩაღებულია და ნიშნობასაც აღარ დააგვიანებენ. ნიშნად ვაჟის მხრით ქალს ეძლევა 10—15 მანეთამდე. ეს ფული ქალის საკუთრებაა, „სათავნო“, იმას ვერც ქალის მშობლები დაისაკუთრებენ და ვერც ვაჟისა. როდესაც ფშაველი შვილის დანიშნვას მოისურვებს და შვილისთვის საცოლეს ამოარჩევს, ან თითონ შვილს ვინმე ეყოლება ამორჩეული, ის „მარჯვეკლად“ უგზავნის ქალის პატრონს ერთ ერთ თავის ნათესავთაგანსავე და საქმე „იმის პირითა“ რიგდება. შრომის ფასად მარჯვეკალს მიეცემა „სამარჯვეკლო“ 5—10 მანეთამდე. ეს ჯილდო ყველასათვის სავალდებულო არ არის და ხშირად მარჯვეკალი არ მიიღებს ხოლმე.

როგორც ზემოდაც არის ნათქვამი, წინად ქალს გათხოვების საქმეში არავითარი ხმა არა ჰქონდა და მისის ბედის გამგებლები მშობლები იყვნენ. როგორც მოხუცებულები ამბობენ, ცოლ-ქმრობის საქმე თურმე ისე გარიგდებოდა ხოლმე, რომ ვიდრე ახალგაზდები ჯვარს არ დაიწერდნენ და ცხოვრების ულელის ერთად წევას არ შეუდგებოდნენ, ერთმანეთს არც-კი იცნობდნენ. მოეწონებოდათ ახლად შეუღლებულებს ერთმანეთი, კარგად შესთვისდებოდნენ, თუ არა, ამას ძველად არავინ აქცევდა

ტენდენციის მოყვარულთა გასაზარელია, მაგრამ მაინც მთავრობამ ამის გამო არ აღკრძალა, ხოლო, რაკი მაგ პიესამ დაჰბადა არეულობა, ჩვენ იძულებულნი შევიქენით აგვეკრძალა მისი წარმოდგენა. მთავრობას ადვილად შეუძლიან არეულობა მოსპოს, როცა ქუჩაზე მოხდება, ხოლო მცირედენს არეულობასაც-კი თეატრში, შესაძლებელია, მოჰყვეს დიდი უბედურება და იქ მთავრობა ვეღარას გააწყობსო. საინტერესო იყო დიდად სიტყვა კლემანსოსი ამ სიგნის გამო: ბატონებო, სთქვა კლემანსომ და მოკლედ განმარტა, რომ აქ საქმე ის-კი არ არის, დანტონსა და რობესპიერს გავუწიოთ მომხრეობა ანუ წინააღმდეგობა, არამედ ის არის, რომ Comédie Française-ს სცენაზე წარმოდგენილ იქმნა ისეთი პიესა, რომელიც, ცხადად ეტყობა, პირდაპირ საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ არის დაწერილი. რად უარჰყოფთ ამას! დროა თავი დავანებოთ მიხვეულ-მოხვეულს ლაპარაკს, ტყუილებსა და პირდაპირ შევხედოთ საგანს. მონარქიის მომხრეებმა, სხვა რომ ვერა მოახერხეს-რა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ახლა სხვანაირად დაიწყეს საქმე. განა ვერა ჰხედავთ, ვინც უკრავს ტაშს იმ პიესას?“ შემდეგ კლემანსომ რეინახს მიმართა და იმის პასუხად სთქვა, რომ რევოლიუცია გასაყოფი და დასანაწილებელი არ არის, არამედ ერთიანი საქმეა და რაც იყო რევოლიუციაში დიდებული თუ სასაცილო, სასარგებლო თუ მავნებელი, ყოველივე ესე მტკიცედ იყო ჩაქსოვილი ერთმანეთში. რა დიდი ხანია მას აქეთ, რაც თქვენცა და მეც ბატონო, ვემხრეობდით იმ სარევოლიუციო და უვარგისს სამაჯაეროს, რომელმაც გაასამართლა ბულანჟე. რესპუბლიკის მთავრობას მაშინ თავზე ბალანი აერია და აღარ იცოდა რა ექნა, ისე შეკრთა ბულანჟეობის შიშით. მაგრამ განა ეს შიში შესადარებელია იმ შიშთან, რაც დიდის რევოლიუციის დროს მოელოდა ახალ-წეს-წყობილებას, რომელიც ძველის მაგიერ დაწესდა. თვით მონარქიის მომხრეთა მოქმედება იყო მიზეზი იმისი, რომ რობესპიერმა ტერრორს მიჰმართა. როიალისტები ორმოს უთხრიდნენ მაშინ საფრანგეთს და მის დასაღუპავად მიწერ-მოწერაში იყვნენ უცხოელებთან. ისინივე ებრძოდნენ მის ჯარებს. იმისთანა მცირე გარემოებამ, როგორიც არის წარმოდგენა უვარგისის დრამისა, იმიტომ მოახდინა ასეთი დიდი ამბავი მთელს პარიჟში და აქ, პალატაშიაც, რომ დიდი რევოლიუცია ჯერ კიდევ არ გათავებულა; ჯერ კიდევ არ გათავებულა ის რევოლიუცია, რომელმაც ჩვენ გაგვაჩინა, ჯერ კიდევ სწარმოებს და ჩვენ, ვინც მის განგრძობის ზრუნვაში ვართ, იძულებულნი გავმხდარვართ იმავე მტრებს ვებრძოლოთ და იმავე დაბრკოლებას და ხარიხებს ვეწინააღმდეგოთ, ვისაც და რასაც ებრძოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ დიდის რევოლიუციის მოღვაწენი, ვიდრე არ გათავდება ეს ბრძოლა, ვიტყვი დაუფარავად, არას გზით არავის ნებას არ მივცემთ ტალახით გათხუპნოს რევოლიუცია. არ ვიზამთ ამას და თუ მთავრობა არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ჩვენ მოქალაქენი გავწევთ მის მაგიერობას“.

პალატა დიდად აალელვა ამ სიტყვამ. რადიკალების ტაშის ჰკვრას დასასრული აღარ ჰქონდა. რამდენს სიტყვასაც გადაჰკრავდა მათი მეთაური მონარქიელებს, რადიკალები წამოხტებოდნენ ზეზე და უკრავდნენ ტაშს ორატორს. პალატამ დიდის ხმის უმეტესობით დაანება ამ საგანს თავი და განაგრძო სხვა საქმეების განხილვა. ამ სახით ცოცხლივ დაჰმარხა მან ახალი პიესა სარდუსი: „ტერმიდორი“.

## წვრილი ამბები

ამას წინად გაზეთებმა ხმა დააგდეს, თითქოს ბისმარკს სურს საფრანგეთში იმოგზაუროსო. ამ ამბავმა პარიჟის გაზეთებში დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ზოგიერთი გაზეთი ამბობდა, რომ, მართალია, ბისმარკმა დიდი ზარალი და დამცირება მოგვაყენა, მაგრამ ფრანგები მაინც შევიძლებთ დავიცვათ წესი მართებულებისა და სტუმართ-მოყვარეობისა და ისე მივიღოთ ბისმარკიო. სხვა გაზეთები-კი პირდაპირ ურჩევდნენ ბისმარკს, რომ ტყუილად ნუ გაირჯებით და ნუ მობძანდებით პარიჟში, ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ თქვენ ჩვენი მოკეთე არა ხართ და თქვენის წყალობით საფრანგეთმა აუწერელი გაჭირვება და აუტანელი დამცირება გამოსცადაო; ამიტომაც თუ თქვენ თქვენსას არ დაიშლით და მაინც მოხვალთ პარიჟში, ფრანგები დაგიხვდებით ზიზღითა და მოძულეობის მუშტითო.

— ნეაპოლში თოვლი მოვიდა. იქაურები ამ იშვიათისა და უცნაურის სანახაობით აღტაცებულნი არიან. ხეები, სახლის ბანები, მთები და ვაკე ადგილები სულ ერთიანად დაფარულია თოვლით. მუდამ მწვანით შემოსილი ხეები, ეხლა-კი სპეტაკს ზეწრებში გახვეული — საუცხოო სანახავია. მისვლა-მოსვლა ქალაქში და ქალაქს გარედაც ბევრს ადგას შეფერხებულია.

— 4 თებერვალს ადელინა პატტი ბერლინში გამართავს კონცერტს და აიღებს 30,000 ფრანკს.

— ქ. კაგორის საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ როგორმე მოახერხოთ და გამბეტას ძვლები დაამარხოთ მის სამშობლო ქალაქს კაგორშიო.

— მოგზაური და მწერალი ინგლისელი ქალი ბიშოპი, რომელმაც იმოგზაურა საშუალ აზიაში ერთის ინდოელის თანხლებით, ამ დღეებში მივიდა სტამბოლს და თავის მოგზაურობის შესახებ გამართა საზოგადო საუბარი. სხვათა შორის თავის მსმენელთ უამბო, რომ ერთხელ სპარსეთში სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს და მეორედ კიდევ გარემში მისაცემად გამყიდესო. სპარსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის ერთს ქალაქში მე კუდიანობა დამწამეს, რადგანაც ჩემს მისვლას შემდეგ გაფუჭებულის ხილის ჭამის გამო ერთი სახლობა სრულიად ამოწყდა. ცრუმორწმუნე სპარსელებმა ეს ჩემს მისვლას მიაწერეს, დამატუსაღეს და შემდეგ ვალის ბრძანებით სიკვდილით დასჯას მიპირებდნენ. მაგრამ ჩემმა მხლებელმა ინდოელმა მოისყიდა საპყრობილის მცველი, ჩამაცვა სპარსულად და დაღამებისას გამაპარა. მეორედ ისპაჰანის მახლობლად თავს დამესხნენ ავაზაკნი, გამძარცვეს, ტყვედ წამიყვანეს და მიმყიდეს ვიღაცას გარემისათვის. ეს ამბავი გაიგო ჩემმა ინდოელმა და შეატყობინა თეირანში ინგლისის ელჩს, რომელმაც ფიცხლად განკარგულება მოახდინა და მე ჩქარა განმათავისუფლეს, მაახლეს სამხედრო კაცები და მიმიყვანეს თეირანში. იქ შახმა მინახულა და ძვირფასი საჩუქრები მიბოძაო.

— როგორც ამბობს გაზეთი „National Zeit“ ამ დღეებში აფთიაქებს ნება მიეცემა კოხის ლიმფის გაყიდვისაო. ეხლა კი წესს ადგენენ იმისას, თუ როგორ ინახებოდეს, რა ფასი დადოს და რამდენ-რამდენი იყიდებოდესო.

— ამ დღეებში კოხი აპირებს ეგვიპტეში გაემგზავროს და იქ რამდენიმე კვირით დაისვენოს. კოხი 1883 წელსაც იყო ეგვიპტეში ხოლერის თვისებათა შესასწავლად და გამოსაკვლევად. ეგვიპტიდამ კოხი მარტში დაბრუნდება და შეუდგება ინსტიტუტის აშენებას გადამდებ სნით ავადმყოფთათვის.

— პარიჟში პადლევსკის შესახებ გავრცელებულია სრულიად ერთი მეორის წინააღმდეგი ხმები. რაც პადლევსკის შესახებ ცნობანია, თუ ყველას დავუჯერეთ, გამოვა, რომ გენერალის სილივესტროვის მკვლელი ყოველგან მყოფი კაცია. ის უნახავთ ისპანიასა, ინგლისსა, იტალიასა და ბოლგარიაშიც. გაზ. „Temps“-ში დაბეჭდილია დეპეშა, რომ ბოლგარიაში ერთის არხიმანდრიტის წერილი ხელიდამ ხელში გადადის და ამ წერილში ნათქვამია, რომ პადლევსკი იმალება ერთს მონასტერში, რომელიც სოფიის მახლობლად არისო. ამასობაში ლონდონიდამ გვზავნიან დეპეშას, რომ პადლევსკი ამ ქალაქში ინახავს თავსაო. უოპლსავე ამას შემდეგ ერთი კაცი ისპანიაში არის შეპყრობილი, რომელიც თითონ ამბობს, რომ მე ვარ პადლევსკი, გენერალ სილივესტროვის მკვლელიო. ისპანიის მთავრობას ვერ გამოურკვევია თუ რა იფიქროს ამ კაცის შესახებ. ამბობენ, ეს კაცი ან ჭკუაზე შემცდარია და ან ანარხისტი, რომელსაც უნდა მთავრობას გზა-კვალი აუბნიოს ნამდვილის პადლევსკის ძებნაში და მით საშუალება მისცეს დამნაშავეს სამხრეთ ამერიკაში გადასვლისაო.

## წერილები რედაქციის მიმართ

შარშან ჩვენ, რამდენმამე კაცმა, რაკი არ მოხერხდა ჟურნალის გამოცემა, მოვისურვეთ დახმარება გაზ. „თეატრისა“, რომლისთვისაც გვინდოდა მიგვეცა სახე ჟურნალისა, თუმცა ბოლოს არც ეს მოხერხდა და დარჩა ისევ გაზეთის სახით. მე მივმართე ზოგიერთ ჩემს მეგობრებს დახმარებოდნენ გაზეთს ხელის მოწერით. იმათაც აღმოუჩინეს ეს დახმარება და მიაშველეს ხელის-მოწერის ფული. შემდეგ, როგორც უკვე იციან „ივერიის“ და „თეატრის“ მკითხველთ, მე მაიძულეს თავი დამენებებინა „თეატრის“ თანამშრომლობისათვის. არ გავიდა ბევრი ხანი, რომ თვით გაზეთიც შესდგა. შესდგა გაზეთი, ანუ შესწყდა სამუდამოდ და აქამდის ხელის-მომწერლების გასწორება-კი არა სჩანს არავისგან, არც ფულით და არც სხვაფრივ.

რადგან, როგორც ზემოდ ითქვა, ბევრმა მოაწერა ხელი ჩემის თხოვნით, ამის გამო ვალად ვრაცხ ჩემს თავს გავუსწორდე მე, — როგორც ეს მოხდა შესახებ „მიმოხილვის“ ხელის მომწერლებისა და პაის პატრონებისა, — მათ, ვინც ჩემის თხოვნით შემოიტანა ხელის-მოწერის ფული. ამის გამო მათ, ვინც მოაწერა ხელი და გამოჰგზავნა ფული ჩემისა და ჩემის მეგობრების თხოვნით, მიუვათ ჩემი თხზულებანი, რომელთა გამოცემასაც შევუდგებით ამ მოკლე ხანში: ახალი ისტორიული თხზულება „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, თხზულება, რომელიც შეიცავს არა ნაკლებ 400 გვერდისა დიდის ფორმატით; „კაი მართალთა!“ რომანი, მეორე გამოცემა და „მაცი ხვიტია“ რომანი, მეორევე გამოცემა.

უკეთუ ვინმე არ ისურვებს ამ თხზულებების მიღებას და ისურვებს ფულს, მაშინ ვალად ვრაცხ ჩემს თავს გავუსწორდე ფულით; ისინი ჩემგან ფულს მიიღებენ.

ანტონ ფურცელაძე

## ხალხურ ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ.

მას აქეთ, რაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა შეუდგა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობის მოგროვებას, თითქმის ყოველ კუთხიდგან ბანი მისცეს, ყველამ შეძლებისა დაგვარად თავისი წვლილი მიაწოდა. საქართველოს ერთი კუთხეთაგანი, სამეგრელო-კი მივიწყებული დარჩა, თითქოს მეგრელებში ზეპირ-სიტყვაობის ჭაჭანება არ იყოსო. ჩვენს მწერლობაში ეს დიდ დასაკლისად უნდა ჩაითვალოს. ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს ნაკლი მცირედაც არის შევავსოთ. ამიტომ გულ-მხურვალედ ვთხოვთ ყველას, ვისაც ასე თუ ისე რაიმე დამოკიდებულება აქვს ხალხთან, ნამეტურ სოფლის მასწავლებელთ, — რომ შეგვიგროვონ მეგრული ხალხური ზღაპრები, შა-

---

ყურადღებას. ბოლოს თუ ვაჟს ცოლი არ მოეწონებოდა, ნება ჰქონდა ცოლისთვის „სამწუნობრო“ მიეცა, დაეწუნა, დაეთხოვა და თითონ სხვა ცოლის ძებნას შესდგომოდა. ქალს-კი ქმარის დაწუნების ნება არა ჰქონდა, იმას არ ეკითხებოდა, მოგწონს ქმარი, თუ არაო. თვით დაწუნებული მანდილოსანი ხალხის თვალში დამცირებული იყო და მას კარგი ქმარი იშვიათათ-ღა შეირთავდა, ძალიანაც რომ კარგი და ყველაფრივ „წუნ-დაუდებელი“ ყოფილიყო. დაწუნების შემდეგაც ქალის ბედს ისევ სხვა განაგებდა და არა თითონ ქალი. ქმარის ამორჩევისა და თავის თანხმობით გათხოვების ნება არც ქმარისგან დაწუნებულსა ჰქონდა.

ახლა ამ სასტიკსა და მანდილოსანის სულთამხუთავს ჩვეულებას ფშაველებისას თითქმის სრულიად ბოლო მოეღო და ქალების სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ, როგორც ფშაველი ამბობს, ცოლ-ქმრებს შორის ბედნიერება ამ ცვლილებამ ვერ გააძლიერა და ცოლ-ქმრულის კავშირის დარღვევა ვერ შეამცირა. აქამდის მარტო მამაკაცის ჯიუტობა იყო ამისი მიზეზი, ახლა დედაკაცის ჯიუტობაც მიემატა და ამის გამო ცოლ-ქმრულის კავშირის დარღვევა უფრო გახშირდაო, ასე ამბობს ფშაველი. თუმცა ფშავლის ქალმა ამ ბოლოს დროს თავის ქმრის ამორჩევის უფლება მოიპოვა და თვით ეს ამორჩევა მდგომარეობს ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის „ცნობაში“, მაგრამ თვით ეს „ცნობა“ და ახალგაზრდათა თავდაპირველი თანხმობაც შეუღლებასა და ცოლ-ქმრობის კავშირის სიმტკიცეს მაგრე რიგად ხელს ვერ უწყობს. ვერ უწყობს ხელს უფრო იმ მიზეზით, რომ ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის „ცნობა“ გარეგნულია. იმათი ერთმანეთთან ლაპარაკი და ახლო გაცნობა თაკილია. ამისთვის იძულებულნი არიან მხოლოდ შორიდგან, გარეგნულის შეხედულობით, „ხე-კაცად“ გასინჯვით დაკმაყოფილდნენ და ერთმანეთის სიავ-კარგეც ამ გვარს გასინჯვაზედ დაამყარონ. ვაჟის მხრიდგან მიგზავნილი მარჯვეკალი უქებს სასიძოს ქალის ნათესავებსა და ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს საქმის მალე გარიგებისათვის, მაგრამ ამაოდ, ისეთი საქმე, როგორიც ქალის გათხოვება და „დაბინავებაა“, ფშაველებში ადვილად გასაგებელი საქმე არ არის. ფშაველი მარჯვეკალს ქალის გათხოვებაზედ ადვილად არ „დაჰყვება“, თუნდაც რომ გათხოვებას ძალიან მოწადინებული იყოს, და ამისი საბუთიცა აქვს. თუ ქალი შუა-კაცის ერთხელ ან ორჯელ მისვლისათანავე გაათხოვა, მაშინ შესაძლოა სხვებმა დააყვედრონ ქალის პატრონსა ქალი ამა-და-ამ კაცს ძალად მიათხოვეო. ასეთი საყვედური ქალის პატრონისათვის სათაკილო და დამამცირებელია და ფშაველი არც ადვილად იკისრებს. ამის გამო ქალის გათხოვებაზედ ლაპარაკი ერთ ან ორ წლამდე გასტანს ხოლმე.

თუ გასათხოვარი ქალი და იმისი პატრონი საქმროს ამორჩევის დროს ერთმანეთს ვერ შესთანხმდნენ, ვერ მოურიგდნენ, ან ქალი არა ჰყაბულობს პატრონისგან ამორჩეულის ქმრობას და ანუ ქალის პატრონი ქალის ნებას არ ასრულებს, მაშინ ქალის გათხოვება ვერ მოხერხდება, მეტადრე თუ ორი მთხოვარი ჰყავს ქალსა, ერთმანეთთან გაჯიბრებულები. ეს გარემოება ხშირად ჰყოფს იძულებულს ვაჟს ქალი ძალად მოიტაცოს და ან ქალს კიდევ — პატრონის სურვილის წინააღმდეგ, იმის ნება-დაურთველად საქმრო ამოირჩიოს და გაჰყვეს. თუ ქალმა შეიტყო, რომ იმის პატრონს გადაწყვეტილი აქვს, იმ მათხოვარს მიათხოვოს, რომელსაც ის უარს ეუბნება, მაშინ ქალი მეორეს თავის ნებით გაჰყვება და ან თუ არა, ქალის სურვილს აღარა კითხულობენ და ერთ-ერთი მათგანი მოიტყუებს ქალს. თუ მშობელი დარწმუნებულია, რომ ჩემი ქალი ძალ-დატანებით მოიტაცესო, ის თავს გამოიდებს იმის განთავისუფლებისა და შინ დაბრუნებისათვის, ხოლო, თუ თავის ნებით „ვაუდგა“, მაშინ იმას, როგორც მშობელს, შეუძლიან დასაჯოს განდგომილი ქალი.

მშობლების სასჯელი ერთობ სუბუქია და ამის გამო ქალი ხშირად მშობლის სასჯელს მხნედ დაუხვდება, თუ-კი მას შემდეგ მაინც ადვილად ეღირსება თავის სატრფოს. „თავის-წვერა“, „გავარდნილი“ ქალი თავისუფლად ქმარის ამორჩევისათვის მხოლოდ იმითი ისჯება, რომ დედ-მამა მზითევს აღარ მისცემს და რამდენისამე ხნით „მოიკვეთავს“, თავის სახლში მისვლას აღუკრძალავს ხოლმე „ჰირსა“ და „ლხინში“ ერთ ან ორ წლამდე. მოკვეთა ამდენ ხანს არ გასტანს, თუ ქალის წამყვანებმა იმის პატრონებს ჯეროვანი „პატივი“ დასდეს და ამის ნიშნად „ხარ-ცხვარი“ (ერთი ხარი და ერთი ცხვარი) გაუგზავნეს და შუა-კაცების პირით შერიგება სთხოვეს. მშობლების სურვილის წინააღმდეგ გათხოვებულ ქალის ქმარისგან ქალის პატრონისთვის ხარ-ცხვარის მიცემა მორიგებისათვის წინა დროში აუცილებელი სავალდებულო ყოფილა, ეხლა-კი ეს ჩვეულება შემცირებულია და ბევრი აღარ ასრულებს.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირები, ანდაზები, ლექსები, შელოცვები, გამოცანები, თქმულებანი ალ-ქაჯებზე და სხ. და სხ. ყველა ეს მასალა მეგრულ ენაზე იყოს დაწერილი (რა თქმა უნდა, ქართულის ასოებით), ხოლო მათს ქართულს გამოცემას ჩვენა ვკისრულობთ.

ამასთანავე ვთხოვთ ყველას, გადმოწერის დროს ნებით ან უნებლიედ თავისი არა ჩაუმატონ-რა, არამედ ჩასწერონ ისე, როგორც გაიგონებენ. აგრეთვე აღნიშნონ ის სოფელიც, სადაც გაიგონებენ ჩასაწერ მასალას.

როდესაც საკმაო მასალა შეგვიგროვდება და ცალკე წიგნად გამოიცემა, თითო ცალი ყველას გაეგზავნება, ვინც-კი დახმარება თავისი არ დაიშურა.

ყოველივე შეგროვილი მასალა შემდეგის ადრესით უნდა გაიგზავნოს: Въ Тифлисъ. Въ книж. магаз. „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликов. ул., д. Зубалова, Θ. Сахокіа.

თედო სახოკია

# დეპეშა

26 იანვარი

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით შემდგარმა კამისიამ ახალი წესისა და პროგრამის შემოღების შესახებ, რომელიც შევიდა ძალაში ამ სასწავლო წლის დასაწყისიდამ, დაამთავრა თავისი საქმე. „Новости“ ამბობს, რომ კამისიის მიერ შემუშავებული წესდება სახელმწიფო საბჭოს უნდა წარედგინოს, რადგანაც ზოგიერთი გადაწყვეტილება კამისიისა გიმნაზიისა და პროგიმნაზიის წესდების ძირეულ შეცვლას თხოულობსო.

„Journal de St.-Petersbourg“-ი ერცჰერცოგის ფრანც - ფერდინანდის რუსეთში მიბრძანების შესახებ ამბობს, რომ მკვიდრნი რუსეთისანი სულით და გულით მოხარულნი არიან უავგუსტოესის სტუმრის მობრძანების გამო. ეს სრულიად თავაზიანი და ძალა-დაუტანებელი დარბაზობა ახალგაზდა პრინცისა ხელმწიფე იმპერატორთან ამტკიცებს მეგობრობას ამ ორთა სახელმწიფოთა შორის, რაიცა თავდებობს მშვიდობიანობის დაურღვევლობასო.

მადრასი. დღეს, 24 იანვარს, მობრძანდა აქ მემკვიდრე ცესარევიჩი.

პეტერბურგი. გუშინ საზამთრო სასახლეში გამართულს ბალზე მათ უდიდებულესობათა გამოსვლის დროს ერცჰერცოგმა ფრანც - ფერდინანდმა ითამაშა დიდ მთავრინა მარია პავლეს ასულთან და მეორედ ხელმწიფე იმპერატრიცასთან მიიღო მონაწილეობა ცეკვაშიაც. ვახშამზე დედოფლის მარჯვნით იჯდა. პირველ საათზე ვახშამი გათავდა და სტუმრები წავიდწამოვიდნენ. დღეს ერც-ჰერცოგმა დაათვალიერა ტაძრები და ინახულა მინისტრნი და ელჩები. ხვალ წაბრძანდება მოსკოვს და დარჩება იქ სამს დღეს.

გუშინ მოვიდა პეტერბურგში გრაფი კერატრი სალიტერატურო და სამხატვრო ხელ-შეკრულობის დასადებად საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

გუშინ მოვიდა პეტერბურგში ჰენრიხი, ჰერცოგი ორლეანისა.

მადრასი. გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი დაესწრო გუბერნატორის ლორდ უენლოკის მიერ სამმართველო შენობაში გამართულს დღესასწაულსა და ბალზე. დღეს მისი უმაღლესობა სანადიროდ გუინადში წაბრძანდება, ხოლო ხვალ გაემგზავრება ტანჟორში.

27 იანვარი

პეტერბურგი. ერცჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა მიიღო ორდენი წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა და დანიშნულ იქმნა მე-26 ბუღის დრაგუნის პოლკის შეფად.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ საქალაქო დებულების პროექტის განხილვა ჩქარა დასრულდება და თებერვალში უეჭველად წარედგინება სახელმწიფო საბჭოსაო.

„С.-Петерб. Вѣд.“ ამბობს, რომ განხილულ და შემუშავებულ იქმნა კანონი მეველეთა გამო. მეველედ უნდა დაინიშნონ ან სათადარიგო და ან სამსახურ შესრულებულნი ჯარის კაცნი, რომელნიც შერიცხულ იქნებიან სოფლის ყარაულებად და ზამთარში დაეკისრებათ საპოლიციო მოვალეობანი ერობის უფროსთა ბრძანებითაო.

ნიუ-იორკი. ბარონ გირშმა დეპეშა გამოუგზავნა თავის ფონდის გამგებელთ, რაიცა დაარსებულია ებრაელთა ამერიკაში გადასახლების ხელშესაწყობად, რომ შეგიძლიანთ 12 მილიონი ფრანკი იქონიოთ თქვენს განკარგულებაში, ხოლო თუ ამ ფულის შემოსავალი ვერ დააკმაყოფილებს ფონდის დანიშნულებას, იმ შემთხვევაში გამგებელთ ნება გაქვთ დახარჯოთ ნაწილი თავნის ფულისაც, რომელსაც მე შევავსებო.

პეტერბურგი. ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი ბრძანდებოდა გუშინ „იმპერატორის სახლეულობასთან ერთად მიხეილოვსკის თეატრში; დღეს ისაუზმა ანიჩკის სასახლეში, სადილად იყო დიდ მთავარ ვლადიმირ ალექსანდრეს ძესთან; საღამოზე იმპერატორის სახლეულობასთან ერთად დაესწრო საბალეტო წარმოდგენას; ხვალ ერცჰერცოგი დაათვალიერებს ცხენოსანთა პოლკს ლეიბ-გვარდიისას, ისაუზმებს იქვე, შემდეგ დაათვალიერებს პაულოვსკის პოლკს ლეიბ-გვარდიისას, ისადილებს დიდ მთავარ ალექსანდრე ალექსანდრეს ძესთან; 29 იანვარს დაათვალიერებს ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელს, ისაუზმებს ავსტრიის ელჩთან; იმავე დღეს ნადირობაა დანიშნული; 2 თებერვალს ერცჰერცოგი წაბრძანდება მოსკოვს, ხოლო იქიდამ მიემგზავრება ვარშავის გზით პეშტს.

პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

| | მყიდველნი ჰქ. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 91 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137 3/4 | 138 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 236 1/2 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 224 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 215 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 102 1/4 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 102 1/4 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 95 3/4 | — „ | — „ |


# განცხადებანი

ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ ძველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფეულობით კერვა ფარჩაზედ: ბალიშებისა, სუზნებისა, თასმის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. ბ. პიტშსა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰქონს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

პ. აცურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—12)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დავაძლებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—30)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

სასტუმრო „ნემეცურ ბაღ“-ში (უწინდელი მიხეილისა)

მიხეილის ქუჩაზე

გვაქვს ძალიან სანთო, დიდი და მოხერხებული დარბაზი, სადაც შეიძლება გაიმართოს წარმოდგენები, რისთვისაც სცენაც არის მიწყობილი, ქორწილები და ყოველ გვარი მეჯლისი. ამეებისათვის იქვე ვამზადებთ ყოველსავე საჭირო საჭმელს. სამზარეულოში საუცხოვო სანოვაგე გვაქვს, ახალად მოტანილი. ფასები ზომიერია. სახლებშიაც შეიძლება სადილისა და ვახშმის გაგზავნა.

(4—3) პატრონი ძნელაძე

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Доз. цен. 28-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.